

შინაური საქმეები

ქოველ კვირული გაზეთი

№ 3.

კვირა, აპრილის 27, 1938 წ.

ფასა წლიურათ — — —

ნახევარი წლით — 3 —

ცალკე ნომერი ღირს 7 კაპეცხა

აღრისი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ ბუფეტისა.

შინაური: ივ. გომართლის იტიბოტია (გაგრძელება)—სანმანიანი-სა; იესო ქრისტე—სარკინელისა; ბული (ლექსი)—რ. საჯაუზოელისა; რა მოაქვს უღმრთობას?—ალექსი ბერისა; რა აკლია ქუთაისს?—ბოლოველისა; ანრდილი (ლექსი)—მლ. მ. კელენჯერიძისა; წერილი რედაქციის მიმართ—მლ. გ. ფულუბაძისა; კრიდამ კვირობამდე.

ქოველ კვირულ გაზეთ „შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კახაკოვის—შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მ. ნახ. წლით 3 მ. ცალკე ნომერი ღირს 7. აპრილიდან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

ივ. გომართლის იტიბოტია.

(სული თუ ტვინი?)

გაგრძელება.¹⁾

მაგრამ არც ისეა საქმე. თვით ბ. გომართელს შერეოდა თავის ძაფებზე მსჯელობაში ისეთი აზრი, ისეთ თვისებით შეუშვეია ეს ძაფები, რა იგინი სრულებით ჰკარგავენ თავის დანიშნულებას, როგორც გონიერების და აზროვნების ბუღისას: „ტვინის ძაფებზე ასრულდებენ ტრეგრაფის მართულის დანიშნულებას; ამ ლუბის წყალობით გაღიზიანება ერთი უჯრედიდან შეიძლება გადაეცეს არა ერთსა და ორს, არამედ მრავალ უჯრედზე ტვინის სხვა და სხვა ადგილას, და ჩვენი სულიერი ცხოვრების სიბრტყე ამ გარემოების შედეგიაო“.

(იხ. გვ. 1) ი რა ყოფილა ძაფების დანიშნუ-

¹⁾ იხ. „შინაური საქმე“ № 2.

ლება—„გაღიზიანების გადაცემა ტვინის უჯრედებისადმი“. მაგრამ ბრც ეს არის სრული სიმართლე. რა არის გაღიზიანება? გაღიზიანება არის, როცა რამეს შეგებში, ან შეგებებში და ამ შეგებებს იგრძნობ, როგორც მიმოძრავებელ მიზეზს შენი გრძნობისას. ასეთი გაღიზიანება შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ რაიმე თვალსაჩინო საგანმა. ეს გაღიზიანება ტელეფონით გადაეცემა ძარღვების საშუალებით ტვინის ძაფებს და შემდეგ ტვინის უჯრედებს. ასეთი გაღიზიანება მოხდება მაშინ, როცა მინდორში ვართ, რამეს ვაკეთებთ, რამეს ვცხებთ, ვხედავთ, ვისმენი ე. ი. როცა ჩვენი გრძნობის იარაღები: თვალი, ყური, ცხვირი, ენა, სხეული და სხვა მოძრაობაშია. ეხლა წარმოვიდგინოთ ჩვენი თავი ოთახში. ღამეა, სანთელი არ ანთია—თვალი—ვერაფერს ხედავს, სიჩუმეა—ყურს არა ესმისრა, ენა არ გემოვნებს, ცხვირი არაფერ სურნელებას გრძნობს, ჩვენ კი გვღვიძავს, არ გვძინავს. რადგან არავითარი გარემოება გაღიზიანება არ არის და მაშასადამე ტვინთან არაფერი აშავი მიდის. აზროვნება შეჩერებული უნდა იყოს, მაგრამ არა. ჩვენ ვაზროვნებთ, ჩვენ ვფიქრობთ. ვფიქრობთ ღმერთზე, მომავალ ცხოვრებაზე, ვფიქრობთ, როგორ საუკეთესოთ მოვაწყობო ჩვენი ცხოვრება, ვფიქრობთ ცოლზე, შვილებზე, მამაზე, დედაზე, ნაცნობებზე, ნათესავებზე, ვფიქრობთ ტვინზე, მის შემადგენელ ძაფებზე, გონიერებაზე, ერთი სიტყვით ვფიქ-



რობთ ისეთ საგნებზე, რომლებსაც ამ წამში ვერ ვხედავთ, ვერ ვხანტივლით. საიდგან მოხდა ეს? ვინ იყო ტანა ტინის ეს ამბავი? რამ გააღიზიან ტინის ძაფები? ტინის ძაფებს არ შეეძლოთ გამოეწვიათ ეს აზროვნება თავის თავად უმიზეზოდ.

ესლა დავიძინროს, ცელქმა ბიძინამ იავარდის სურნელოვანი თაიგული ცხვირთან მოგვიტანა. ჩვენ ვერ ვიგრძნეთ სურნელობა, ე. ი. სასუნთქავი ძარღვების გაღიზიანება მოხდა, მაგრამ ტინმა ვერაფერი იგრძნო. შემდეგ ცელქმა ფრთხილად თვალი გაგვახელანა. თვალზე თვით იმ ცელქის სურათი გამოგვებატა, ე. ი. მხედველობის ნერვები გაღიზიანდნენ, მაგრამ ტინმა მაინც ვერა იგრძნო. შემდეგ რალაც ყურში ჩაგვიჩურჩულა, მაგრამ ვერც ამან იმოქმედა. რატომ? ტინი თავის ძაფებით ხომ თავის აღვილობდა, გაღიზიანებაც გვაქვს!.. შემდეგ გაგვეღვიძა. ტქრიალმა ბიძინა სიცილით მოგვავარდა და ცხვირზე თაიგული მოგვადეა. ჩვენ ვიგრძნეთ სასუნთქავი გამაცოცხლებელი სურნელება, დავინახეთ ბიძინაც და თაიგულიც, გავეფრინეთ მისი ჩურჩულიც. რამ გაიღვიძა ჩვენში? ტინმა? მაგრამ ტინი ხომ ნივთიერებაა, მიწაა, უბრალოდ რომ ვსთქვათ. და განა მიწას შეუძლია გაიღვიძოს? ვააღვიძეთ, თუ შეგძლიათ ტანის, ქეა, ცომი. მაგრამ თქვენ ვერ შეხსძლებთ ამას. ამას მხოლოდ დოქტორ-მატერიალისტი შესძლებს ძლევაშოსილი კიმიის შემწეობით!

ავილოთ ესლა მეორე მაგალითი. ფსიქვათ ვისმე სალათას ძილი მოუვიდა. გავიდა ერთი ღლეოარი, ხაში, ერთი წვირა, ერთი თვე. მოღის ექიმი; უხელს თვალს, მძინარე ვერაფერს ხედავს, ჩასძახის ცყურში, — არ ესმის; ჩქმეტს ხელით, — ნემსით, — ვერა გრძნობს, სასუნთქებინებს, ასმეფს; მძინარე არ ინძრევა. ცოცხალი კია, თუ სიცოცხლე ეთქმის ასეთ სიცოცხლეს. სისხლი მუშაობს, გული ძევს, ტინი თავის ძაფებით თავის აღვილობდა, მაგრამ კაცს გრძნობიერობის და აზროვნების ნიშან წყალიც არ ეტყობა. რას შერება ამ დროს ტინი? რათ არ აზროვნებს? რათ არ გრძნობს? რას შერებიან აკრუხელი უჯრედები თავის ტელეფონებით?

რათ არ აგებინებენ ერთმანეთს თავის სარგ მდგომარეობას? რათ არ ხმარობენ სიშუაღეზას? ბოლოს მძინარე მოკვდა, კელარ გაუძლია სხეულმა ამდენი ხნის შიმშილს და წყურვილს, რომელსაც თუმცა ვერ გრძნობს, მაგრამ ხორცსა და სისხლს ხომ აკლდება? ამ გეგრად გარდაევალებული ადამიანების გაქრამ დაამტყუცა, რომ ტინი ამ დროს არავითარ ცვლილებას არ განიცდის და სრულიად სადი რჩება მამ რატომ არ აზროვნობდა? სჩანს იგი მოაქრე არ ყრფილი. შესამე მაგალითი: თქვენ ხხართ და წიგნს კითხულობთ. რა მდგომარეობას განიცდის ამ დროს თქვენი ტინი? თაღლის ვაშლი გაღიზიანა მელნით დაწერილმა შავმა ასოებმა, თვალმა მათი გამობატულება გადასცა ტინის რომელიმე უჯრედს, ამ თავის ტელეფონით სხვას შეეტყობინა, ამადა ამ ასოს გამობატულება მივიღეო და ამ მხეფმა მოიარა მთელი დიდი და პატარა ტვი. მაგრამ ეს ხომ კითხვა არ არის, ჩვენ ასებს კი არ ვკითხულობთ, აზრებს ვკითხულობთ, და ეს აგვისნას ბ. გომართელმა ვინ ის ჩვენ თავში, რომელიც აზრებს კითხულობს? მიუტანე წიგნი ძაღლს, კატას: ასობს ჩვენზე ნაკლებათ არც ერთი მათგანი არ დაინახავს, მაგრამ ეს არავითარ აზრს არ გამიწვევს მათში. რატომ? ტინი ხომ აქვთ? თქნ შეტყვიით უსწავლელო კაცს ვერაფერს გავაქვს წიგნიდვანო, მაგრამ რა არის წიგნი? იუ არის მუსაიფი ადამიანისა, რომელიც პრადრ ჩვენთან არ იმყოფება. გადაეცით ზებრადს მუსაიფი და ნახეთ, რომ უსწავლელო კაც თქვენზე ნაკლებად არ გაიგებს მას, თუმცა ხრი კი არ ეუულება, არამედ ხშირი მოყვანილი მავალითებიდგან სჩანს, რომ ტინი არ არს აზროვნების და გონიერების ბუდე. ტინი აზროვნებსო, ამის თქმა იგივეა, რომ ვსთქვათ ხელი მუშაობსო, ფეხი დადისო, თვალს ხედავსო, ყური ისმენსო. ეს ორგანობა ყურია ხელუხლებლად აქვს მკვთარს, მაგრამ ვერკრთი მათგანი თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს; ვერ ასრულებს მიტომ, რომ მამომძაყელი, მიმღები არავინ ჰყავს. ტინიც ასეა იცო იარაღია სულას ხელში, იგი თავის დანიშნულებას

ყოველთვის ასრულებს, სანამ მიმღები, მოახრე ჰყავს. როცა ეს უკანასკნელი გაცდება, ცოცხალიც რომ დარჩეს კაცი, როგორც მაგ. სალათას ძილში, ტვინი მაინც სლუმს, როგორც სლუმს სხვა მაგვარი ნივთიერება.

ადამიანის სულიერი განვითარება დაფუძნებულია მენსიერებაზე. ადამიანი საგნებით კი არ აზროვნებს, არამედ წარმოდგენებით, ცნებებით, რომელიც მას მენსიერებაში აქვს შენახული და ყოველ შემთხვევაში შეუძლია მიიყვანოს ცნობაში. მენსიერება შეგვიძლია შევადაროთ სარდაფს, სადაც დიასახლისს შენახული აქვს სხვა და სხვა სახმარისი ნაწილები, რომელსაც საჭიროების დროს მოიხმარს. მენსიერება რომ არ იყოს, არც შეცნეობა იქნება, არც ლაპარაკი გვეცოდინება. ცხოველებს მენსიერება ნაკლები აქვთ და ამიტომაც არის, რომ მათი განვითარება შორს ვერ მიდის, ვინ არის ადამიანის არსებაში ის დიასახლისი, რომელიც უკვე გნსცდილ შთაბეჭდილებებს ღებულობს და მენსიერების სარდაფში ინახავს? გომართული ამბობს, ტვინიაო. ჩვენ ვამბობთ, არა.

ჯერ გამოურკვეველი და გაუგებარი ის არის, თუ როგორ იკრიბება და ინახება ტვინში წარმოდგენები, და რა ცვლილება ხდება ამ დროს ტვინის ნაწილებში. როგორც ნივთიერება, ტვინი ამ დროს ნივთიერ ცვლილებას უნდა განიცდიდეს და მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, რომ საგნების სახე იბეჭდება ტვინზე. თუ ეს ესეა თითოეულ საგანს განსაკუთრებული უჯრედი უნდა ჰქონდეს, რომელზედაც სხვა საგანს გავლენა არ ექნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთჯერ მომხდარ შთაბეჭდილებას, მეორე შთაბეჭდილება შესუსტებს ან სრულიად მოსპობს, და წინანდელი წარმოდგენა დამარცხდება. თუ ეს ასეა, ე. ი. თითოეულ წარმოდგენას, ანუ საგანს, განსაკუთრებული უჯრედი აქვს ტვინში, მაშინ არც არაფითარი დამოკიდებულება იქნება მათში და მილიონი შემაერთებული ქალებიც, რომ ვააბათავს ვერ მოუყრი ამ სხვა და სხვა უჯრედების სხვა და სხვა წარმოდგენას. გართა ამის უჯრედებ შორის ადგილი არ ექნება იქნა განუცნებულ ცნებებს და წარმოდგენებს, როგორ

რიც არის ღმერთი. ანგელოზებიც კი, გინება, სული, და სხვა, რადგანაც ესენი ვერაფერ კვალს ვერ დაჩინენ. ტვინში კი რადგან გრძნობებით არ განიცდიდებიან, და მაშასადამე სრულებით ჩვენს აზროვნებაში ადგილს ვერ დაიკვირნ, რაც პირდაპირი წინააღმდეგობა იქნება მოცდილებას.

მაგრამ ვთქვათ ამ განცხვენებულმა საგნებმა ც რამეთუად ადგილი იშოვნეს ტვინში. შეუძლებელია მიიწვი ტვინში ეს შთაბეჭდილებები და წარმოდგენები მენსიერებაში შეინახოს, რადგან ტვინის ნივთიერება, როგორც გვაჩვენებენ ფიზიოლოგია, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთი და იგივე არ არჩება, არამედ მუდამ ახლდება, ყოველწმიდ წლის განმავლობაში ფი რამოდენჯერმე გადახალსდება ისე, რომ უწინდელი ტვინის განაწილებაც აღარ დარჩება. ამ აზარშით ძველ ტვინთან ძველი წარმოდგენებიც უნდა გვაიწყვიტოს და ახლად უნდა გვჩვენდეთ განვითარებას, სწავლას, მეცნიერება გვარწმუნებს, რომ ტვინი ყოველ წმიდ წელიწადში ორჯერ მიიწვი განახლდება. ასე რომ, კაცმა რომ 70 წელიწადი იცოცხლოს, ოცჯერ გადახალსდება ტვინი, ოცჯერ დაიწყდება წარსული და ოცჯერ უნდა დაიწყოს თავი ვიდრე სწავლა, ანუ წარმოდგენების შექმნა, მაგრამ საბუნდოვროდ ეს ასე არ ხდება. თუმცა ტვინი ახლდება მაგრამ ერთხელ ნაწიხი და განცდილი შთაბეჭდილება მენსიერებაში რჩება და ისე მაგრად, რომ ხანდისხანა წარმოდგენებ ათი წლის შემდეგ გავგონდება.

ტვინი რომ სულიერი ცხოვრების მიხედვით იყოს, უნდა მივიღოთ 1) რომ სულიერი ავთიმყოფობა დამოკიდებულია ტვინის ავთიმყოფობაზე და წინააღმდეგ 2) რომ ტვინის ავთიმყოფობა უთუოდ გამორწვევს სულიერ ავთიმყოფობას და 3) ტვინის განრწინასთან ისობა სულიერი მოქმედება, ე. ი. აზროვნება. მაგრამ ცხოველები არ ამართლებს ამას. 1) ენოპ, სავათმყოფო მო 1884 სულიერ ოფთიმყოფთან მხოლოდ ოთხს შეამჩნიეს განდრეპტლებს თავის ქალის შენობაში. დანარჩენს კი თავის ქალი სრულიად სალი ჰქონდა,

მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, საღი ჰქონდათ ტვინიც, რადგან ცნობილია, რომ თავის ქალის გარეგანი შეხედულება, ფორმა, დამოკიდებულია ტვინის შენობაზე. აურაცხელი სულით ავთამყოფი მიცვალებული გაუჭრიათ, განუხილავთ ტვინი, მაგრამ უკანასკნელი სრულიად საღი აღმოჩენილა და არავითარი ცვლილება მასში არ ყოფილა.¹⁾

2) ტვინის სისაღე შეიძლება დაირღვეს ტვინის ნივთიერების რამოდენიმე ნაწილის ამოკლით, გარეშე საგნის მასზედ დაწოლით, ან შიგ გაჩერებით, ან სკიდევ ტვინის რომელიმე ნაწილი დაჩირქებით. ფიზიოლოგ ნეიმანმა, ფლურანსმა, კაბანსმა შეამჩნიეს, რომ შესანიშნავი ტვინის გარეგანი ნაწილები (ტვინის ქერქი, რომელშიდაც გომართელი ათავსებს აზროვნებას*) შეიძლება, მოვაროთ და ეს არ გამოიწვევს არავითარ ცვლილებას ადამიანის საღ სულიერ მდგომარეობაში, აზროვნებაში (ამ შესანიშნავ პირებსაც რომ არ ეთქვათ, ჩვენც შეგვიძლია მოვიყვანოთ ათასობით მაგალითი, როცა თავგატეხილი და ტვინ გამოსხმული ადამიანი სრულ გრძნობაშია და საღად აზროვნებს. მღვდლებს უფრო ბევრი ეცოლინებათ ამის მაგალითი, რადგან მათ ხშირად ხედებათ ასეთი ადამიანის ზიარება. მე კი ჩემი ცხოვრებიდან ვიცი ორი მაგალითი: ერთს ხანჯლით თავი გადაუბეს და შუბლიდან ტვინმა ამოასხა. საცოდავმა ორი კვირა იცოტხლა და უკანასკნელ ჟამამდე სრული მესხიერება შეინახა. მეორეს ხე დაეცა თავში და თუმცა ტვინი არ დაკლეს, მაგრამ, ექვი არ არი, შეერყეოდა. ამანაც უკანასკნელ ჟამამდე სრული მესხიერება შეინახა. ორივე სასოვებით ეზიარნენ და სრული აღსარება სთქვეს). ფოლკმანი, ვან-სვიტენი, გალლერი, პრინარდი, სომმერინგი და მრავალი სხვა მსწავლულნი ბევრ

1) ამ დიდმარხვაში ერთ გამოჩენილ ექიმს მიემართე და ესთხოვე, შეემოწმებინა მიცვალებული, რომელმაც თავი შთიკლა, თუ შეშლილი იყო. მან გადაჭრილი უარი შთიხრა და თან დასძინა, რომ ვერც ერთი ექიმი ტვინის განხილვით ვერ გაიგებს კაცის სულიერ მდგომარეობას.

*) იხ. ტვინი და სული გვ. 15.

მაგალითებს იძლევიან, როცა ტვინი რევოლვერის ტყვიით დაჭრილა, ხშირად ტყვია შიგ ტვინში გაჩერებულა, მაგრამ, როცა ამისნა თვამყოფებისთვის ამოუკლიათ უმეტესი ნაწილი დაჭრილი ტვინისა, მოჩენილან ისე, რომ ამ გარემოებას არავითარი გავლენა არ უმექონებია მათ ქვეა გონების სისაღეზე და ზოგი მათგანი მას შემდეგ უფრო განვითარებულა. ექიმი ბრუნსი თავის „ხიბურგიაში“ მოგვითხრობს მრავალ შემთხვევებს, როცა ტყვია რამოდენიმე წლობით ჩარჩენილა ტვინში, მაგრამ სულიერ ცხოვრებაზე არაფერი გავლენა არ ჰქონია. ექიმი რ. ფრიდრიხი მოგვითხრობს შემთხვევებს, როცა პატარა ტვინში კაკლის ოდენა მუწუკი გაჩენილა და ავთამყოფი სულიერად საღი დარჩენილა. ფოლკმანი ამბობს: „გამაგრება და გარბილება ტვინის (ზოგიერთ ნაწილების) ძალიან გავრცელებული მოვლენაა, მაგრამ—არაფერი გავლენა არ აქვთ ადამიანის სულის მდგომარეობაზე“. ანატომები: ნასსე, ანდრალი, დიურანი, ჯარდელი ერთხმით ამტკიცებენ, რომ ტვინის ავთამყოფობას ძალიან იშვიათად მოსდევს სულით ავთამყოფობაო. ფრიდრიხს, კრუველიეს, შაგენდის, ფენენერს ბევრი მაგალითები მოჰყავსთ ტვინის ნაწილების და ნახევარ ტვინის სრული განრწინისა (разрушения), რომელსაც არავითარი ენება არ მიუყენებია ადამიანის სულიერი მდგომარეობისათვის.

3) თუ უკანასკნელ შემთხვევაში ვიფიქრებთ, რომ ავთამყოფ ნახევარ ტვინის მოვალეობას მეორე საღი ნახევარი ასრულებს, რაღა ვსთქვათ სხვა მრავალ შემთხვევებზე, რომლებზედაც მოგვითხრობენ: ფრიდრიხი, კიმმერმანი, ბურდახი, შრედერი, ენომოზერა, ბენეკე და გუფლანდი, იმ შემთხვევებზე, როდესაც გაჭრის შემდეგ მთელი ტვინი განრწინალი გამომდგარა და ავთამყოფს კი სიკვდილამდის გრძნობა გონება არ დაჰკარგვია. ნუ თუ ამოდენა მაგალითები საკმარისი არ არის, რომ უარგპყოთ შეხედულება ტვინზე, როგორც სულიერ ცხოვრების მატარებელზე და მივიღოთ იგი, როგორც იარაღი სხვა არა ნივთიერი ძალისა, რომელსაც შეუძლია იხმაროს ეს იარა-

ლი მაშინაც კი, როცა ეს უკანასკნელი მთლად ან რამოდენიმედ უვარგისი ხდება? (გადმოთარგმნილია გმკ. დიაჩენკოს წიგნიდან, ხოლო ამ უკანასკნელს გამოკრებილი აქვს პროფესორ შპიკის წიგნიდან).

თუ სულით ავითმყოფობა ტვინის ავითმყოფობის ბრალია, მე ამასაც დაუმატებ, რომ ეს ავითმყოფობა, თუ სუყოველთვის არა, უმეტეს შემთხვევაში მაინც უნდა იკუთრებოდეს, რადგან ტვინი ყოველთვის აზღვდება; მაგრამ ეს ასე არ არის: სულით ავითმყოფი სიკვდილამდის სულით ავითმყოფად რჩება და ვერავითარი ექიმობა ვერ შველის.

მიუხედავად ამოდენა მოწმობისა, ტვინი ჩვენ არ მიგვაჩნია უმნიშვნელო მეტ ბარგად. იმას აქვს თავის დანიშნულება და ეს დანიშნულება არის ის, რომ იგია იარაღი რომლითაც სული უახლოვდება ქვეყნიერებას, იქნის თავის ძალებს სხვის დასახებად, შესამჩნევად. სხულს რომ არც ტვინი ჰქონდეს, არც ხელი არც ფეხი, არც თვალი და არც ყური, არც სულს შეუძლია გამოიჩინოს თავის ძალები; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი არ არის. შიეცი სხეულს ეს იარაღები და სული აამოძრავებს მათ. ამ შხრევ შენაძლებელია ტვინის ასეთმა თუ ისეთმა მდგომარეობამ სულიერ მოვლენებზედაც იქონიოს გავლენა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სული არ არსებობს. მეჩონგურე მაშინაც კი მეჩონგურედ რჩება, როცა ჩონგური დამტვრეულია, ან სიმები დაწყვეტილი. გააკეთეთ ჩონგური დააბით სიმები და თქვენ მალე დატკბებით მეჩონგურის ტკბილი დიდებით.

სანშინიანი.

(შემდეგი იქნება).

იესო ქრისტე

ისტორიამ იცის ბევრი გავლენიანი და შესანიშნვი პირები, რომელნიც სათავეში უდგ

ნენ თავისს დროებას და ერს. მოსე, ურიათა სჯულის მდებელი, აბრაამი, მამა შორწმუნეთა, სოკრათი, მამათმთავარი ფილოსოფოსთა, ჰომიროსი, დანტეე, შექსპირი, და შილდერი პოეზიის ისტორიაში, რაფიელი მხატვრობაში— ყველა ესენი და მრავალნი ამათგვარნი ცნობილნი არიან კაცობრიობის ცხოვრებაში და წინსვლა-განვითარებაში. მაგრამ ყველა ამათ ჰქონდათ გავლენა კაცობრიობის ერთს რომელიმე ნაწილზე და არა მთელს კაცობრიობაზე, ისინი ეკუთნოდნენ ერთს რომელსამე ერსა და დროს.

რაც ეს პირები იყვნენ თავისი ერისთვის, ის იესო იყო მთელი კაცობრიობისათვის; იესო არის საყოველთაო მისაბაძი მაგალითი ყველასთვის და ყოლიფერში.— მართალია, იესო იყო ხორციელად ურია, ეცვა ტანისამოსი ურიათა რაბინისა, უმკვლელია, უფრო ეწყობოდა ურიათა ზნე ჩვეულებას, მაგრამ ყველა ეს წარმოადგენს მისს გარეგანს მხარეს; ხოლო, როცა ჩვენ განვიხილავთ შინაგანს იესოს, მაშინ ვნახავთ, რომ ამ თვისებებს მაში აქვთ საზოგადო მნიშვნელობა და ფასი. იგი არ ეკუთნოდა არც ერთს ურიათა შორის არსებულ პარტიას, იგი შორს იყო ფარისეველთაგანაც, სადუკეველთაგანაც და ესეველთაგანაც. იგი ყოველთვის მალა იდგა თავისი დროის და ერის ცრუმორწმუნეობაზე; იესო შეუდარებლად აღმატება კაცობრიობის ყველა მოძღვრებს და მასწავლებლებს; იგი ყველგან ჰპოვებს თაყვანის და პატივის მცემლებს. მას ჰყვანდნენ თაყვანის მცემლები ურიათა შორის, თუმცა კი იგი არ ეკუთნოდა არც ერთს ურიათა შორის არსებულს პარტიას და არ იყო გატაცებული ურიების პოლიტიკური სურვილებით და მისწრაფებით; მას ჰყვანდა მალმერთებლები ბერძენთა შორის, თუმცა არ უქადაგნია რაიმე ფილოსოფიური სისტემა; რომელნიც თაყვანსა სცემენ მას, თუმცა არ დაუარსებია არც ერთი ქვეყნიური სახელმწიფო და არ გაუმარჯუნია რომელსამე ომში; მისი სახელი დიდებით იხსენიება წითელკანიან ამერიკელ ინდუსთა და ზანგ აფრიკელთა შორის ისევე აღვილად, როგორც განათლებულ

ქვეყნების მცხოვრებთა შორის; მისი მოძღვრება გამოხატულია, მოსახმარი და სასარგებლოა ყველა დროსა და ერისთვის. ქრისტე არის შეუღარებელი და უებრო მაგალითი ყოველივე სათნოებისა ყველა დროის, ადგილის, ქვეყნის ქრისტიანთათვის¹⁾.

წარსული დროს დიადმა პირებმა დიდი ხანია უკვე მოიქაშეს თავისი დრო-ყამი; მათ სხვებს დაუთმეს ადვილი და სამოქმედო ასპარეზი; მათ შემდეგ, მათ ნაცვლად გამოვიდნენ სხვა პირები. კიდევ კარგი, თუ რომელმამე ერთგულმა ამხანაგმა ან მოწაფემ გაიხსენა ისინი; გულგრილმა შთამომავლობამ დავიწყებას მისცა მათი ხსენება; მაგრამ იესოზე და მისს საქმეზე ეს არ ითქმის. ჩვენ ოცი საუკუნით ვართ მისგან დაშორებულნი, მაგრამ მაინც ისევე ცხოველი და ცოცხალია ჩვენს შორის თავისი საღვთო ხატებით, უმაგალითო მოძღვრებით და დიდებული საქმეებით. ასეთია იესო ნაზრეთელი, ყველასგან განსხვავებული თავისი ხანისათვის, რომელიც არის ერთად ერთი და თავისებური სიყრმიდან დავაყვაცებამდე.

ქრისტიანობის მოწინააღმდეგენი არ უარყოფენ იესოს ხასიათის სიდიადეს და სიწმიდეს. ჩვენთვის ფრიად ხელსაყრელია ვიცოდეთ ქრისტიანობის მოწინააღმდეგეთა აზრი იესოს ხასიათზე, რადგანაც შტრის გამოტეხილ და გულახდილს ლაპარაკს რომელიმე კითხვის გადაწყვეტის დროს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მოკეთის მოწმობას. ჩვენ მოვიყვანო აქ მხოლოდ ზოგიერთა სწავლულთა აზრს, რომლებიც არ ითვლებიან იესოს და ქრისტიანობის ქომაგებად.

ცნობილი ენციკლოპედისტი ენუაკ რუსო გულახდილად და გამოტეხილ ამბობს თავისს თხზულებაში („ემილი“), რომ ქრისტესა და სოკრატეს შორის ისევე შეიძლება შედარება, როგორც ღვთისა და ბრძენი კაცის შორის²⁾. „დიანს, ამბობს იგი, თუ სოკრატი სცხოვრობდა და მოკვდა, როგორც ფილოსოფოსი, იესო სცხოვრობდა და მოკვდა, როგორც მღვდელი“. შტრაუსი, რომელიც დიდი მოწინააღმდეგეა სახარების ღვთაებრივი შთა-

მოებისა, ამბობს: „იესოში განცხადდა იდეა, რომელიც მან პირველად გაატარა კაცობრიობაში, —სახელდობრ — შეგნება არსებითი ერთობისა ქეშმარიტი კაცობრივისა ღვთაებრივთან, —ეს ისეთი ყოვლის შემძლებელი ძალაა, რომ შიით გამსჭვალულია და განათლებული მთელი მისი (იესოს) ცხოვრება. მაშასადამე იმ დრომდე, ვიდრე კაცობრიობისთვის საჭირო იქნება სარწმუნოება (უსარწმუნოებოთ კი კაცობრიობა არაოდეს არ დარჩება) იგი არ დარჩება უქრისტეოდ, მიტომ რომ სურვილი სარწმუნოების ქონებისა უქრისტეოდ ისევე უცნაურია, როგორც სურვილი პოეზიის ქონებისა უპოეზოსოდ, უშექსპიროდ.“ ერნესტ რენანიც კი, რომელიც დასწერა უფრო ისტორიული რომანი, ვიდრე დადინჯებული ისტორიული გამოკვლევა იესოს შესახებ, სათაურით „ცხოვრება იესოსი“, რომელიც საესეა ერთმანეთის და ისტორიულ სინამდვილის მოწინააღმდეგე აზრებით, ამბობს იესოზე შემდეგს: „დიდებული იყავნ სამარადისოდ, კეთილშობილო მასწავლებლო! შენი საქმენი აღსრულდა, შენი ღვთაებრივობა დამტკიცდა; რაოდენიმე საათის ტანჯვით, რომელი ტანჯვა? შენს სულს არც კი მიჰკარებია, შენ მოიპოვე უკვდავება. მთელი საუკუნოების განმავლობაში ქვეყანა შენი სახელით განახლდების; დამგობს ჩვენის ორქოფობისა, შენის დროშის ქვეშ ბევრჯელ გაიმართება გაცხარებული ბრძოლა. შენი სიკვდილის შემდეგ ათასჯერ უფრო საყვარელი და ძლიერამოსილი შენი სახელი ქვაკუთხედით დაედება კაცობრიობას და ამ ქვაკუთხედის აღება საყვაროს დანგრევას შეედრება. შენსა და ღმერთს შორის განსხვავება არ იქნება. სიკვდილითა სიკვდილის დამტრგუნელო, მიიღე საფარველსა ქვეშე შენსა სამეუფო შენი — შენის ღვთაებრივის გზით მავალ თაყვანისმცემელთა დაუსრულებელი შთამომავალი.“³⁾ და შემდეგ კიდევ: „რაც უნდა დიდებული მომავალი შექონდეს კაცობრიობას, რაც უნდა შესანიშნი წინამძღოლი გაუჩნდეს მას, იესოს მავ-

²⁾ „ცხოვრება იესოსი“ ქართული თარგმანი ვაკლადისა გვ. 186.

¹⁾ შაფერი.

ინც ვერაინ გადაქარბებს, იესოზე უაღრესი ვერ იქნება; მისი სარწმუნოება მარადის დარჩება და იყვავილებს ა).

ჩვენ მოვიყვანეთ აქ მხოლოდ მტკიცე უმცირესი ურწმუნოთა მოწმობის იესო ქრისტეს პიროვნებას და ხასიათის შესახებ. ეს მტკიცე რიცხოვანი მოწმობებიც ცხადად ამტკიცებენ, რომ კაცის გულში დაფარულია მოკდალეობა, განცვიფრება და პატივისცემა იესოსადმი. ურწმუნოთ შეუძლიანთ უარყონ იესოს სასწაულები, მაგრამ ისინი ვერ უარყოფენ მის ხასიათს, თუ არა სურთ, რომ დათრგუნონ თვისში ყოველივე კეთილშობილური გრძობა; ისინი უარყოფენ ქრისტეს ღვთაებას, მის სასწაულებს და მის ისტორიას მოგვიტბრობენ, როგორც ჩვეულებრივს ამბავს, სთვლიან იესოს ჩვეულებრივ კაცად, მაგრამ აწერენ, ამავე დროს, მას იმგვარს თვისებებს, რომლებიც ცხად ყოფენ მის ღვთაებას; ისინი სთვლიან იესოს დიდებულ, სრულ და უცოდველ არსებად და ამავე დროს გამოჰყავთ იგი, როგორც ურცხვი მატყუარა, რომელიც არა მარტო სხვას, არამედ თავის თავსაც ატყუებს სხვა და სხვა უცნაური ოცნებებით.

ცხრაშეკ საუკუნეზე მეტია, რაც ურწმუნოება უარყოფს იესო მაცხოვრის ისტორიის სინამდვილეს, ამაზინჯებს მის პიროვნებას, მის სიტყვებს, მაგრამ მაინც ვერ შეურყევეია ვერც სახარების სინამდვილე და ვერც რწმენა იესოს ღვთაებისა; ამიტომ ჩვენ უნდა ვთქვათ პეტრე მოციქულთან ერთად: „უფალო, ვისა მივიდეთ ჩვენ? რამეთუ სიტყვანი ცხოვრებისა საუკუნოსანი გქონან შენ“ და თობა მოციქულთან აღვიაროთ „უფალი ჩვენი და ღმერთი ჩვენი!“ 4)

სარკინელი.

1) იქვე 28, 194.

2) თანე 6, 68; 20, 28.

ბ უ ლ გ უ ლ ი.

ყურთა სმენის დამატკობი, მგალობელთა დიდი მეფე,

ათას ხმებზე მომღერალი, მუსიკისა მოაფეთე,

სამშობლო რომ მიატოვა, გარდაფრინდა თბილ მხარეში, მჯავრით მუნჯათ გარდაიქცა, დარჩა სევდა-სიმწარეში

დღეს შევხედე, მოფრენილა, ამობშია ისევ ვნა, კვლავ ქიკტიკებს ათას ხმებზე, ლამეც კი არ მოგვასვენა!

სძლისპირები, სძლისპირებზე გადააბა ქანტრაკულათ, კაცის გულის დამატკობათ, სანეტარო სიხარულად.

მესტრფის, ხარობს, კრიმანჭულობს, თავს ევლება მის ნაბუდვარს, იმ ბუჩქნარს და არემარეს, საგაზრდილდს და ნაფუხვარს.

რა ახარებს ასე ტკბილათ? რა მისი სიხარული? — სადაც იშვა, გაიზარდა, შო; სამშობლოს სიყვარული!

სამშობლოს ხსენებაზე, ესდევები, რომ ფრთხებიან, ჩიტებს მაინც რათ არ ბაძვენ ლათიას რომ ყვებიან!!

რ. საჯავახოელი

22 აპრილი 1908 წ.

რა მოაქვს უღმრთოებას?

ფილოსოფოსი ვინმე მიდიოდა გზაზე. უცებ შესდგა ფეხი და შეჩერდა, ამ დროს კითხა მას ერთმა თანამაგვალმან, რამ შეგაჩერაო. ფილოსოფოსმან მიუგო: „ვეკითხები ჩემს თავს თუ სად მივდივარ, კეთილია თუ პოროტი გზა ესეო“.

აი ჩემი წინ მდებარე მსჯელობისა, ბრწყინვალე მისამართი თქვენდამი, საყვარელო ძმანო! შესდგით ფეხნი თქვენნი, შეაყენეთ სირბილი მცირე ჟამ და დაეკითხეთ გონიერებას, თუ სად რა ხართ? სად მისწრაფის თქვენი ლტოლვილება? კაცობრიობის აღსავალის განათლებისკენ თუ პირუტყულ უგუნურებისკენ? ცხოვრების საბედნიერო ნათელ-კანონებისკენ თუ ცხოვრების დამლუბველ სიბნელისკენ? შესდგით ფეხნი, ძმანო, და შეაჩერეთ უკულისხმო ერიშობა უღმრთოთა გუნდისა და კითხეთ მათ, თუ რის მახარებელი არიან და რა მოაქვსთ ქვეყნის საკეთილდღეო? რას უპირობენ ოჯახთა შვენიერ განწყობილებას, ეკლესიურ კანონთა მაღალ საღმრთო პატიოსნებას და რა ურჩება ადამიანობას მათი ქადაგების ნაყოფი?

დღეს უმრავლესობა ნახევრად განათლებულთა და გაუნათლებელთა ურწმუნოების მოდამ გაიტაცა; ურწმუნოება, უღმრთოება განათლებისა და წინმსვლელობის მოწმობად გადაიქცა მრავალთა შორის. საკმარისია, არ იწამო ქრისტიანული სჯული: პიჯვრის წერა, წირვა-ლოცვა, ნათლის ღება, ზიარება და სულის არსებობა, რომ შენ „განათლებულ“ ადამიანად მოგნათლონ და „გაუნათლებელ ძველ რეჟიმის“ მიმდევართა სიიდან ამოგრიცხონ. და ეს მოძღვრება ქრისტიანულ სარწმუნოების წინააღმდეგ ისეთის სისწრაფით და ბრმად მოედო ხალხს, როგორადაც მოედება ხალხმე ახალ-მოღის კაბის შეყვრა.

ის დიადი დიდება, რაც საღმრთო ისტორიამ მესიისთვის მოჴინა ქვეყნიერობას, დღეს საზღაბროდ იქმნა შერაცხილ და ეს სათაყვანო ჩვენი ბუნების გასაღმერთებელი სათნოება და უკვდავების რწმენა, ქრისტეს მიერ მონიჭებული სახარება თავიანთ უკეთურ მიმართულების იარაღად გახადეს და ხსნიან საწუთო მხედველობით. ზოგიერთებს თუმცა ცოტათ მაინც აქვსთ გულისცემა სარწმუნოებისკენ, მაგრამ შეპყრობილ არიან გარეგნულ სირცხვილთ; ვითომდა განათლებულ პირებთანთვის სასირცხვილოა ქრისტიანული აღსარება: პიჯვრის წერა, ლოცვა, წირვის მოსმენა, ზიარება და სხ. და ამ გვარად ჩვენ თვალის წინ იშ-

ლება ქრისტეს სიტყვების განხორციელება, არა ბუნდოვან სახით სამსგავსო რამე, არამედ სიტყვით სიტყვად მის მიერ თქმული ცხადად და ყოველთა სახილველად სრულდება ის, რაც მან წინასწარ-გამოცხადებით დაჴვიბარა, რამეთუ მან ესრედ სთქვა: „მრავალნი ცრუ წინასწარმეტყველნი (ქადაგებელნი) აღსდგენ და აცთუნებდენ მრავალთა“. აღსდგენ ქრისტემტყუარნი და ცრუ ქადაგებლები და აცთუნებდენ მრავალთა, უკეთუ შეუძლეს, რჩეულთაცა“. კურთხეულ არს, ქრისტე ღმერთო, ქეშმარიტება შენი, რამეთუ დღეს განმრავლებით აღსდგენ ქრისტე—მტყუარნი და ცრუ ქადაგებელნი და იტყვიან, ჩვენცა ქრისტე ვართო, ქრისტეც ჩვენისთანა კაცი მხოლოდ იყოვო და არა ღმერთ—კაცი, და შეაცთუნეს მრავალნი, განრყვნეს და განხრწნეს მრავალთა გულნი, არა თუ ოდენ საერო პირთა, არამედ რაოდენიმე ლერწამ შერყეულ სასულიერო პირებმაც გაიხადეს ანაფორა და დაუტრევეს ქეშმარიტება ამ ქრისტე მტყუართა ქადაგების გავლენით. ესე ყოველი წინასწართქმული ქრისტეს სიტყვები სრულდება დღეს: „აჲა ესერა წინასწარ გარქუ თქვენ“. რისთვის? მისთვის რომ განგვაკრძალოს და შევიგნოთ დროსა შემთხვევისასა, არა სმენად და არცა შეწყნარებად ცრუ-ქადაგებელთა მიერ დამლუბველ და განხრწნელ სიტყვებისა. მაგრამ ეს წინასწარ გაფრთხილება წაიყრუვეს და მრავალნი აღტაცებით ეგებებიან ცრუ-ქრისტეების საცთუროვან ქადაგებას და განუღგენ ქრისტეანულ ნათელ სარწმუნოებას. ქრისტეს სარწმუნოება, ღვთის არსებობის აღსარება ადამიანთა კეთილ-დღეობისა და წინმსვლელობის მტრად გამოაცხადეს და უღმრთოება კი ერთად ერთ წყაროდ ქვეყნად ნეტარების დამყარებისა. და სამწუხარო ის არის, რომ ყოველივე ეს ხდება შეუგნებლად და ბრმად, ისტორიულ გაკვეთილებისა და გონების მართელ-აზროვნების ფანატიკურ გადაღახვით. უმრავლესობა არც კი ეკითხება თავის თავს, თუ რა მოაქვს უღმრთობას. უმრავლესობა არც კი ხედავს იმ ბნელ უფსკრულს, რომელსაც უჭაადებს კაცობრიობის კეთილდღეობას უღმრთოება.

თუ არაფერი არსებობს გარეშე ნივთიერებისა და მის მოძრაობისა, თუ სულიერი ქვეყანა მხოლოდ ოცნებაა, მაშ რა არსებობს ადამიანთა კეთილ ცხოვრების მსახურად და რა ძლიერების ნიღაბზე და მყარებული სამშვიდობო ბედნიერება, როცა ატომისთვის არ არსებობს კეთილი და ბოროტი. თუ არ არსებობს ღმერთი და ადამიანის სული მხოლოდ ოცნებაა, მაშ რა აზრი აქვს სათნოებას და ანსად არის მიზეზი კეთილ-მოქმედებისა? ამ შემთხვევაში ხომ ყველაფერი სიცრუეა, გარდა სააქაო შეება-ღმერთისა და სურვილთა დაკმაყოფილებისა?! მაშ რად იძახით ძმობა, ერთობა და სიყვარულის მოვალეობას, როცა მოვალეობა კეთილისა ატომებისთვის არ არსებობს? რად შევიყვარო, რად შეგიერთო ან რად უნდა გვქმნა, როცა მოვალეობის ვალდებულება არ მამეც და თან ჩემი პირადი სურვილი და სარგებლობა არ ეკერძოება და არ ეთვისება დათმობას, რასაც მთხოვს ერთობა, ძმობა და სიყვარულის კავშირი. რისთვის უნდა შევიწუხო ჩემი თავი, რომ შენ სათნო გეყო, როცა ატომის სული გარეშე ჩემი თავის სიამოვნებისა და დაკმაყოფილებისა არ მითითებს არც მადლიანობაზე, არც უკვდავ ცხოვრებაზე, არც წარწყმედაზე და არც ზესთა ბუნებრივ უანგაროდ ღვთის ძეობითი სიყვარულის ღირსებაზე? შეიძლება აქ მივეითოთ პატიოსნებაზე ან, როგორც ამბობენ, საზოგადო სოლიდარობაზე, მაგრამ თუ გარეშე ატომთა მოძრაობასა არაფერი არსებობს, რაღას ქვია პატიოსნება და საზოგადო სოლიდარობა?! ამ შემთხვევაში ხომ ყველაფერი პატიოსანია! პატიოსნების დაცვას ხომ შრომა და იძულება თავისა სჭირია, რაც ნების მოთხოვნილებათა წინააღმდეგ ითხოვს ძალას და რამ უნდა მაიძულოს მე, რომ წინააღმდეგე ჩემს სასურველს ნებას და ვიბძოლო ჩემი მოთხოვნილების წინააღმდეგ, როცა უღმერთობის სამეფოში ყველაფერი ერთია, კეთილიცა და ბოროტიც. ვინაიდგან ყველაფერს საფუძვლად უძევს ბრძან მმობრავი უსულო და უჭკუო ნივთიერება? მაშ პატიოსნება რათ მინდა, როცა მის დაცვა ამ ცხოვრებაში თავის თავთან, თავის სურვილებთან ცხარე

ბრძოლაში მაგდებს. და ან უპატიოსნობა რამ ვეძებო, თუ სიცრუე არაფერშია? პატიოსნება და უპატიოსნება რამ განარჩია, თუ კეთილი და ბოროტი განურჩეველია? ამბობენ პატიოსნებას ითხოვს საერთო სიჭირუბათ, მაგრამ რათ მინდა მე ეს სიჭირუბათ, ვიწრო ფარგალში ჩამწყვდელი, როცა მე ატომის სულით შემოუსახლვრელიდ ნების და სურვილის მეფე ვარ? რად უნდა შევიყვარო მოყვასი და გაუწოდო ჩემი სურვილის პური, როცა მიზანი დათმობისა არააობაა და ჩემი სურვილთა გემოვნების სიყვარული მძლავრად მცემს დაკმაყოფილებად სურვილისა, თუ არა მწამს მე სათნოებათა მშობელი და სიყვარულის მამა, რომელიც დამძახებს აღსაფრთოვანებელ მაღალ-ღირსებით: „იყავით სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს? „შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი თვისი“.

გვიკარნახებენ სინიღისის ძლიერებას და ამბობენ, რომ სინიღისი ვმარა ადამიანის ცხოვრების გამგე-განმრჩევლადა; მაგრამ ჩვენ ზემო დავინახეთ, რომ თუ არ არსებობს ღმერთი ისობა კეთილი და ბოროტის განრჩევაც და მაშინ რაღას ქვია სინიღისის მხილება და ჩვენება? ამისთვის ყოვლადვე დაუმტკიცებელია მარტო სინიღისზე მიყრდნობა თვინიერ ღვთის და ჩვენი სულის უკვდავების რწმენისა, რადგანაც ამ შემთხვევაში სინიღისის ჩვენება კეთილისა და ბოროტისა უმიზნოა და უმიზნოდ კი ადამიანის ცხოვრება მარადის ცვალებადობის სცენას უგალობს თავის სურვილთა საგემონო პიესებით და ეს ცვალება დაუმტკიცებელ უნიადაგო თვითნებლობის ზღვაში მარადის ტალღების გროვა იქნება და მეტი არაფერი. სინიღისი თვით-მპყრობელი როდია, რომ მაზედ დამოკიდებულება დავამყიროთ უცვლელ იმედებით, და ან არ შეგვეძლოს გარდახდომა მის ბრძანებისა, პირობით მას აქვს დამოკიდებულება ჩვენს თავისუფლებასთან. ხან წინ უძღვის მოძღვრად ზნეობა-სათნოებას და ხან სდუმს უზნეო ბოროტ ცხოვრებათ ვადლოახული. აი ჩვენი სინიღისის და თავისუფლების ზნეობრივი გზა თუ ვითარ ცვალებადია. ამისთვის სტყუვდება, ვინც კეთილად

მხოლოდ სინილის სახეობაზე გარდასახლებას თვინიერ ღვთის გადმოცემულ მცნებებით განმტკიცებისა, ვინაიდან სინილისიც, ღვთის რწმენაც, ჩვენი სულის უკვდავების ხედვაც, სჯული და კანონებიც, როგორც აუცილებელი სავესება და სრული წყობილება იცავს ადამიანობის კეთილ-ცხოვრებას. ვიმოვრებ რომ სინილისი არ წარმოადგენს ისეთს მფლობელ ძალას, რომლის ხმის წაყრუვება ადამიანს არ შეეძლოს, და ასე, უმიზნო და მომავლის უმხედველო სულში სინილისი ნელ-ნელა ანელებს მის სამხილებელ ნათელ ქეშმარიტებას და ბოლოს უნანელობის ნავით მსოფლიო-ზღვაში მკურავი იხრჩობა უბატონების მოკვლევი. ამის შემდეგ ცხადია, რომ იქ, სადაც გამეფებულია უღმრთოება, პატიოსნებას და კეთილ-მოქმედებას აზრი ეკარგება და ფრთებს შლის პირადი სარგებლობა, ვინაიდან ურწმუნონი უნაგაროდ სიკეთის ქმნას ვერ შეწყდებიან, რადგანაც ამას აღარც აზრი ექნება. პირადობის განკეთილშობილებისათვის სათნოებათა შექმნა ითხოვს თავის უარისყოფას, რაც უსარწმუნოებოთ და მომავალ ცხოვრების უმიზნოდ შეუძლებელია, ვინაიდან ურწმუნოების აზრით პიროვნება სარაობად იქცევა და ეს არღვევს პიროვნებათა შორის სიყვარულის ყოველ კანონს.

... (შემდეგ იქნება) ...

რა აკლია ქუთაისს?

წყალი. რიონი?! იკითხავს განკვირებულნი მკითხველი. რიონი აღარ ჩამოდის ქუთაისში კაი ხანია. მის ნაცვლად ზემო უბნელების ნების ნაწრეტი და ბ.ბ. კოკოჩაშვილის და ჯანელიძის აბანოებში დამბალ სენით ავთამყოფ ადამიანების ნარეცხი ჩამოდის და აი ამ ნარეცხს სვამს „სამაისო“ ქუთაისი, სვამს სამოვნებით და უღრტვინველად: სვამს და ყოველ ყლაპზე იხსენიებს თავის ცხოველმყოფელ ქალიქის თვითმმართველობას, რომელიც ასე გემ-

რიელ წყალს იძლევა დასაღველად. ამას წინად ბაგრატის გორაზე ახალი ბაზილიონის გოდლის შენება დაიწყეს ზოგიერთმა პირებმა, რომლებმაც არ იკადრეს ამ ნარეცხის სმა; მათი აზრით ამ გოდლიდან უნდა მოფენოდა ქუთაისის ნაკადული წმინდა რიონის წყლისა. იუპიტერი გაუროსხდა გაამბარტაუნებულ მოქალაქეებს და შეგროვილი ფული შეაქამა ბ. ინენერს, რომ ვერ შეესრულებათ თავის ბოროტ-განზრახვას. მაშენებლებმა თავი დაანებეს თავის ბოროტ-განზრახვას და გაითანტენ იქით-აქით, ხოლო ქმნილი ხელთა მათთაგან გოდლი დარჩა-აქამოდმდე სახსენებლიდ მათდა. მას აქეთ ქუთაისის თვითმმართველობა ყურსაც აღარ იბერტყს ამ-საგანზე. ან რათ უნდა გაიბერტყას? ახლო მომავალში სავათმყოფელს აგვიშენებს, რომელიც აუთუოდ ავთამყოფები ბლომად დასჭირდება და საიდგან იშოვნის ამ ავთამყოფებს, თუ რიონი გაატანმრთელა?!

ხუმრობა გაშვებით იყოს და ნუთუ არაფერი მოგვეხერხება, რომ წმინდა წყალი დავლით? მრწამს, სოციალიზმი მალე დადგება და ჩვენი ქუთაისიც ეზიარება სხვა ქალაქების განათლებას, რადგან უკანასკნელები ვალდებულნი იქნებიან ქუთაისიც ისე მოაწყონ, როგორც თვით არიან მოწყობილნი; მაშინ თბილისი ვეღარ დასძახებს „ქონტს“ თავის უნტროს ძმას (თუ დას, არ ვიცი კარგად, ამას რუსი უფრო გაარჩევს, რადგანაც განსაკუთრებული აღლო აქვს სქესების გარჩევისა), ვერც პეტრბურგი და ვერც სხვა „ბურგები“ დაუწყებენ ამაცობას: მაშინ ქუთაისი მოუბრუნებს კეხს... საუცხოვო ჰაერი, საუცხოვო მღებარეობა და სხვა საუცხოვოები ვაცილებით მაღლო დააყენებენ მას სხვა ქალაქებზე. თუმცა ამით ცოტათ კი შეილახება სოციალიზმის იდეა (სრული თანასწორობა), მაგრამ ეგ ხომ ჩვენი ბრალი არ იქნება; ჰაერს, მღებარეობას და სხვა და სხვა ბუნების ნაბოძებს ხომ ვერ შესცვლის ადამიანი! ამ დროს კი დაგემართოს, კაი ანკარა უკვდავების წყალი ჩვენ გვექნეს, მაგრამ მიგარი ის არის, რომ ამ ხანეტარო ხანის დიდგობის არაფერი ეშველა. უბედურება ის არის, რომ ჯერ კიდევ კაპიტალისტურ წეს-

წყობილებაში ცხოვრობთ, მის მონებაში ვართ
და, მიუხედავად ზოგიერთ ჯგუფების ნაქაღ-
დანაპირისა, ამ მონებას ბოლო არ უჩანს

დარუინის თეორიით ცხოვრების პირობე-
ბი თანდისთან იცვლებიან და გამარჯვებული
ის რჩება, ვინც ამ პირობებს შეეფუძება. თუ ეს
უცვალელებელი და ულმობელი ბუნებას კანონ-
ნი მართალია, ცოტა ხანს უნდა დაეანებოთ
თავი სოციალისტურ წესწყობილებაზე ოცნე-
ბას და შევეფუძოთ კაპიტალისტურ წესწყობი-
ლებას მით უფრო, რომ სანდონების აზრით ეს
წესწყობილება მანამ არ შეიცვლება, სანამ
მთელი ქვეყნიერების სიმდიდრეს რამოდენი-
მე პირი არ ჩაიყრის ხელში, ე. ი. სანამ მთე-
ლი კაცობრიობა არ გაპროლეტარდება. საქი-
როა მიემართოთ ვინმე კაპიტალისტს და ვსთ-
ხოვოთ მოეხმაროს ჩვენ უწყობას. ეს არა-
ფერი სათაკილოა ეხლანდელ დროში, როცა
უამისოთ ვერც ერთი ქალაქი ვერ ახერხებს
არსებობას. თბილისი ხომ თბილისია და მისი
წყლის არხები და „კონკები“ სულ კაპიტა-
ლისტების ხელშია. სოციალიზმიც რომ მალე
დადგეს, ჩვენ მაინც არაფერს წავაგებთ. იკით-
ხოს კაპიტალისტმა, თორემ ჩვენ არხები ჩა-
ლად არ დაგვიჯდება.

ამბობენ კაპიტალისტები დიდი ხნის ვა-
დით თხოულობენ წყლის არხებით სარგებლო-
ბას და ამიტომ ქალაქი ვერ ბედავს ნება დარ-
თოს „ვოდოპროვოდზეო“. ჩვენის უვიცობით
ასეთი მოქმედება რაღაც გლახა ანდაზას მო-
გვაგონებს და ჩვენ მცხოვრებთათვის სრულიად
ხელსაყრელი არ არის. თუ ქალაქი მცხოვრებ-
თათვის არის და არა მცხოვრებლები ქალაქი-
სათვის, საქიროა ანგარიშს ეუწევდეთ ამ უკა-
ნასკნელების მდგომარეობას, რომლებსაც გა-
რეთ გატანილი ნაგავი ისევ შინ უბრუნდებათ
სასმელ-საქმლის სახით და თან მოაქვს სხვა და
სხვა გადამდები სენები. და ესეც უსასყიდლოდ
არ მოდის. ქუთათური მოსახლე საარაკო თა-
სებში ყიდულობს ამ მოკლეთ რომ ვსთქვათ,
სნეულებას: ბოქვა წყალი, რომელშიდაც დაწ-
მენდის შემდეგ ძლივს რამდენიმე ვედრო გა-
მოვა, სამი შაური ღირს და, თუ პატარა და-
შებროით ბრძანდებით, აბაზსაც სიამოვნებით

მისცემთ. ხანდისხან ვერც ექვსი შაური გიშვე-
ლისთ. ეს მაშინ მოხდება ხოლმე, როცა მე-
ბოქვეს ხუსტური მოუვლის და გაგიჯავრდება.
ხანდისხან სამი დღე დაგტოვებს უწყლოდ; არც
თითონ მოგეკარება და არც სხვას მოგაჯა-
რებს.

ასეთი მდგომარეობა აუტანელია მცხოვ-
რებთათვის და უსარგებლო ქალაქის თვითმმარ-
თველობისათვის. ერთიც და მეორეც წავგებუ-
ლია და ორივე ხელინელ ჩაიდებულნი უნდა
ცდილობდნენ ეს საქმე რამე ნაირად მოაგვა-
რონ. დიდი შრომა და შორს სიარული არაა
ამისათვის საჭირო. უფულო ღარიბი კაცი რომ
წავგებულთა ყოველთაგან, ეს ახალი ამბავი არ
არის. ქუთაისიც, რა თქმა უნდა, როგორც
ღარიბი ქალაქი, ნივთიერად ბევრს იზარალებს
წყლის გასაყვან არხების კონცესიის გაცემით,
მაგრამ სამაგიეროდ მცხოვრებლების ტანმრთე-
ლობას მოიგებს და თავის სისუფთავეს, რომე-
ლიც ასე მოუხდება მის კობტა მდებარეობას.
იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქალაქის თვითმ-
მართველობა მედგრად შეუდგება წყლის არხების
გაყვანის საქმეს და განახორციელებს ახლო მო-
მავალში, მიუხედავად ყოველი ნივთიერი სარ-
გებლობისა (თუ ესეც იქნება, ამას რაღა აჯო-
ბებს!). რაიცა შეგვეხება ჩვენ, მცხოვრებლებს,
უნდა მოგახსენოთ, რომ ეხლა თუ თითველ
ოჯახს 20—25 მანეთი გვიჯდება წყალი წე-
ლიწადში, 30 მანეთს არ დავიშურებთ; ოღონდ
ერთი ქიქა წმინდა წყალი გვეღირსოს. ვიმეო-
რებთ, არ არის ძნელი ეს საქმე: თაფლი გვაქვს
და ბუზი ახალციხიდან თუ არა, თბილისი-
დან მაინც მოვა!...

ქუთაისის მთავრობის სპეციალური
სამსახურის მდიანი

(საქმის მდიანი)

ა რ დ ი ლ ი.

გუდღენი თ. ი. ჭავჭავაძის ხსოვნას,
(შედგენილია მისივე ნაწერების მიხედვით და გადაკეთებით)

მოგლენა პირველია.

სტენაზე ერთი გვერდით წოა მოსჩანს,
ძირს შარა სისხლით მორწყული, იქვე ქვები,

დამტვრეული ეტლი; ილიას გასისხლიანებული კვაში. მეორე გვერდით სცენა წარმოადგენს კლენის სახლს; დედა აკვანში ძუძუს აწოვებს ვაგს და ილიას „ნანას“ დამღერის; იქვე ახლოს მისი უფროსი ვაჟი, ზაქარია, გლახურათ ჩაცმული, ილიას მკვლელი, სისხლიან ხრამოს აწმენდს; გამოჩნდება ილიას აზრდილი და დინჯად, შექმუხნილი სახით იტყვის:

„სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი მწუხრის ზეწარი გადაეუარა“
და ბედი მისი, მტრის გასახარად,
უფსკრულისაყენ გადაიხარა!
(მიიმალება)

მოვლენა მეორე.
აზრდილი ისევ გამოჩნდება და ნაღვლიანად იტყვის:

„არ ვმღეროდით, რომ შემღერავს, ნიარგან ვით ფრინველსა გარეგანსა“
სულ იმისა ცდაში ვიყავ, ვუძღვინ ცდა ვიყო
„წადლომოდო წინა ზ, ხალხსა...“
„ერის წყლული მიჩნდა წყლულად“
„მეწოდა მის ტანჯვით სული, სდ ამიხეცვ
„მის ბედით და უბედობით“
„დამედაგა მტკიცე გული“
ამ ჩემს გულში, დადალულში (უჩვეუ
ნებს იარებზე)
არ ვაქრობდი „ღვთიურს ცეცხლსა“
და რაც შევძელ, სულ „ვწმენდავდი“
„მშობლიურს ერს ტანჯვის ცრემლისა“
მაგრამ დახე უგნურებას?!
(რაც რომ სულ არ მიფიქრია!)
ეს დამწვარი ძმისთვის გული
მისვე ტყვიამ შემინგრია!..
(მიიმალება).

მოვლენა მესამე.

გამოჩნდება აზრდილი და მიმართავს თავის მკვლელს ზაქარიას, რომელსაც ხმალი ხელიდან გაუვარდება:

შენ, „შრომის შვილო“!
გახსოვს ბედკრულო,
„ლილინი შენი გულს მიწყლულედა“,

„როს შინახეხარ კედელთან მწოლი,
„როს მხურვალე მზე ზედ დაგყურებდი?!
გახსოვს ის სიტყვა, სიტყვა ძმური,
როს გიმოდღებდი (დამიგდე ყური!),
რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
„ეგ ვერაფერი სიყვარულია,
„საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,
„ეინც ბედისაგან დაზარდულია!“
გახსოვს, მამაშენს საქმე უყვეს
მტრულზედ მტრულია,
როს „დაჰკრეს როზგი“ ღონე მიხდილს,
სცეს პანდურია?!

ვინ ავიწია მაშინ ზევით თავი ბედკრული?!
ვინ შთაგაგონა, ზაქარია, გრძობა კაცური,
რომ იმ „ბატონსა“ შეუნგრიე ტყვიითა
გული?!
ვისით ჰქმენ ესა, ეს გვირობა შენ
ზაქარია?!

თუ ეს აზრები მე ვიძღვენი, სხვაც
მრავალია,
მაშ მონობისგან გამოსხნილო, რომ
გადაგოია,
რომ თოფი დამეც და მიფეთქე მისი
ფალია?!

იყოს ჩვენ შორის მართლმსაჯულად
მაცხოვარია,
რომელმაც ბრძანა, პეტრეს უთხრა,
მოკედეს ხმლითავე,
ვინც კაენს ჰგავდეს და აღიღოს ხელში,
ხმალია!

„ძრწოდე, სულელიო! რას გამცნებდა
ღმერთი ჯვარცმული?!
ძმა მოპკალიო და დალუბე შენი მამული?!
ფუ „ხმალს, თუ მტრებზედ დამი-
ჩლუნგდება“

და ბასრი პირით „ძმებს“ დაერევა!
შენ ხარ ყაჩაღი! სად არის ვიბრი,
„რომელსაც ვეძებ“, რომელსაც ვსტირი?!
„იგი აღარ გყავთ.. მის მოედანი,
თქვენით აღვხილა, ვერანად ქმნილა,
„გვირის დამბადი ღიღი საჯანი
„თქვენ შა სობილა და წარწყმენდილა!
„გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას,
„დაგინგრევიათ ღიღი მამული!..

„რალა დაჰბადებს თქვენ ში ღიდს გრანობას?
 „როტი აღტყინდეს ქაროვლისთვის გული?
 „მართალი არის ხმალი ზღვევისა,
 „როს ხელს ჰკიდებს მას მამულის ტრფობა,
 და არა ვმობა სჯულის, მამულის,
 ან კანისებრ სულ მტრობა, მტრობა!
 „ფუ შენს მახვილსა! „წამხდარს გმი-
 რობას“!

ფუ სისხლიანს გულს და შავპირობას!?

(აჩრდილი მიიმალევა, ზაქარიას ქვითინებს და ეცემა ძირს)

მოვლენა მეოთხე.

(აჩრდილი გამოჩნდება და მიმართავს ზაქარიას დედას, რომელიც ქვითინებს)

„ქართველის დედაო! ძუძუ ქართველისა
 „უწინ მამულსა უზრდიდა შეილსა,
 „დედის ნანასთან ქვითინიც მთისა
 „მის უმზადებდა მომავალს გმირსა...
 „გაჰქრა ის დროცა!..“ წახდი ისეცა,
 რომ გაგირისხდა შენ მალა ზეცა
 და შენმა შეილმა (უგურმა ბეცმა),
 სამტრო ლახვარი ისევე მე მცა!..
 დღეს ეს ყოფილა მამაპაპური
 „მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური“,
 ძმის მოსაკლავად „ამაყი თრთოლა“,
 „მამულის“ ბურჯთან შედგარი ბრძოლა“!
 ეს იყო შენთვის „ჩემი ვარსკვლავი“?!..
 მას გაეკიდე და მე მომკალი?!.

ასე შეიგნე შენი მალაღი

„ღანიზნულეობა და საღმრთო ვალი“?!.

„აღზარდე შეილი“?! „შეცე ძალა
 სულს“?!.

„საზრდოთ ხმარობდი ქრისტესა
 მცნებას“?!.

„შთაგონებდი კაცთა სიყვარულს,
 „ძმობას, ერთობას, თავისუფლებას“?!.

თუ აგონებდი შეგნიდან ღალატს
 და ასწავლდი კანის მცნებას?!.

ფუ შენს ქალობას!.. ფუ შენს მსგავსს
 დედას!..

(აჩრდილი მიიმალევა, დედას გული წაუვა და ძირს
 დაეცემა.)

მოვლენა მესამე.

(აჩრდილი გამოჩნდება და მიმართავს შთებს).

„სამშობლო მთებო! თქვენი შეილი
 განებებთ თავსა“,
 მოძულეებული, განკიცხული გტოვებთ
 ყველასა!.

„მახსოვს, ყრმა ვიყავ, ძლიერს მოსული
 გონს და ცნობასა,
 „როს სილიადე თქვენი მგერიდა კანკალს,
 ჟრე-ლასა“..

და სრულიადაც არ ვფიქრობდი, თუ
 თქვენს მგოსანსა
 თქვენსვე კალთებში ამიტყებდით თოფის
 სროლასა

და იმა „კანკალს“, იმ ტკბილს ჟრეო-
 „ლასა“

და შიმშილსებლით მომაკვდავის სულის
 ბრძოლასა!..

„იგი არ იყო ძვერა გულისა ფრთხილი
 და მხდალი,“

მაგრამ პასუხად მომიძღვენით მახვილი
 ხმალი

და მოხუცს გულზედ დამაყარეთ ტყვი-
 წამალი!..

„მე თრთოლვით ვსტვერეტი ლაქეარდს
 ცაზედ

და შევნატრიდი ყმაწვილურად თქვენს
 ზემო-მხარეს“

და, დამერწმუნეთ, არ ველოდი მე
 ამ დღეს მწარეს,

როს ყაჩაღისას გამითხრიდით აქ ცივს
 სამარეს!..

„მომწონდა თავი (ღვიძლო მთებო),
 რომ დაბადება

„თქვენს შორისა მხვდა“, თქვენი ღვიძლი
 „ვიყავი შეილი,
 მაგრამ სირცხვილით რათ არ კვდებოთ,
 რომ ხართ შავ-პირი
 და რომ გამზრდელმა ურცხვად მოჰკალ
 თვისვე გაზრდილი.
 „რა რიგ მიყვარდით, მეგობარო ჩემ
 ყმაწვილ-ყრმობის,
 აწ ჩამდენელნო უბადალო მარბაროსობის!

„ბნელი აჩრდილი“ აწყოთა „უამთა“
„უკუნისამდე შემარხება გულშია ღრმითა“
და ესე სისხლი, ჩემი სისხლი, ნახეული
გზათა,

აალაღდებს არემარეს და თვით ამ ქვათა,
მეზად დაგრგვინავს; ძირიანად შეარყევს
მათთა,

აბობოქრდება; აღუღდება, იქცევა ზღვათა
და თქვენსა, მთებო, სისხდაგლეს და
მტრობას ძმათა
მოუთხოვს ყველას, ძირს ქვეყანას და
შალა ცათა!..

შენ, წამებულო, აწ მშვიდობით, ჩემო
მამულო,
კულთა შვილთაგან თვითც წამხდარო და
დალუბულო!

ეს მწარე წუთი „გაყრას ითხოვს“ ჩემგან
მსხვერპლად
და რას მოძიხოვდა უარესსა დასასჯე-
ლად!..

„ყოვლი ნაბიჯი“ ჩემი ეტლის შენგან
მაშორებს,

„ყოვლი წუთი გეკარგავს შენა და მეც
მაოზლებს.“

„მშვიდობით ჩემო, განკიცხული განებებ
თავსა“,

საიქიოდამ „ვერ მოგაწვდენ“ ჩემს გულს
და თვალსა“.

„ვერ გაგიღიძვებს შორს ქვეყნიდან შენ
ჩემი სული“,

შხოლოდ მწარისა მოგონებით ატოკდეს
გული!

მაგრამ თუ ვინა ვქნა ეს?! გავიმეტო ჩემი
მამული?!

„აბა ვილათვის დახედება ეს ჩემი გული?!“
ის დღე დღეს, რომ მამულს ვუძღვნა
მის სიყვარული,

„თუ მესმის შევსწირო საყვარელი დიდი
დღეებზე და მისი დიდი მამული?..“

იბრუნა, „ვერ ვუძღვებ, ჩემო მეკვლელო, შენსა
უფროს ფაქტორს და დიდ მამულსა“

„და ვერ ვგირჩევ მე შენს ნაცვლად სხვა
ნეტ მამობოვან მამულსა“

„ან სად ვიპოვო უკეთესი შენზედ ქვეყანა?!

ან უკეთესი ჩემს მამულზედ იქნება განა?!.
მაგრამ „როდემდის ჩვენ არ ვსცნობდეთ
სიკოცხლის ფასსა?!

„როდემდის არ ვსცემთ ღვთიურს ნიქსა
ღირსსა თაყვანსა?!

„მის ყოველ წუთსა სიფრთხილითა რა-
ტომ არ ვხარჯავთ

„და მის აქ ყოფნას ამოებად რისთვისა
ვსახავთ?!.“

(მიუბრუნდება დანიქილი ღვთისმშობლის ხატს).

„დედა ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...
„საღმრთოდ მიიღე“ ჩემი სისხლი, მას რაც

„უღვრია“!..

„მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგო-
მისა,

„მამაპაპური სული, გული მოჰმალე შეიღსა!
„მოჰმალე ქართველს ქართველის ნდობა და

„და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!..
„ჰი, სხიერო! სინარტყელია განავლენ ცასა,

„რათა წარდენისა მოლოდინი“ წარხიცო
ხალხსა!..“

(ფარდა.)
„(აქედან აბრუნდეს) მთუინ ანშინ თე
მლ. გ. კვლავ ვერ
..აქცნ ცნ ეცეცი ირავთო
იბრუნდნენ ანაბოც მც მტუ
„იბრუნდნენ იგაუნე“
„მოლოდინი დაწნ თეათოვონ ქამს
„მოლოდინი ირავთო მთავრობა“
„იგაუნე“
„მამაო (გაქცეულა)
!..“

ფერილი კადავტის მიმართ

„მამაო (გაქცეულა)
!..“

„უმოპრილენად გომოვთ ამ მწერილს“ თქვე-
ნის უტრანდლის მინაპურ საქმეებში სუმხლო-

ბელეს უნომერში აღგილი ედაუთმოთა მოგე-
ხსენებათ, რომ ჩვენი სწული დროის შანტა-

ჟისტები და პრეკვიატორები, პირადის მტრო-
ბით შეპყრობილნი, ჯაკრის ამოსაყარად ბექვ-

ლითი სიტყვას ხმარობენ, იმათგან ასეთია საქ-
ციელი გმავიერი დიდი პრარის, მხერამ სამწუ-

ხარო ის არის, რომ ვგვარა ულირს პირებს
ჩვენებური ჩრდეთების კარბეილია აქვთ და

რა ცუნდათ მხარს მთავსებენ, ხუტუნულ ვაზეთე-
ბის ფურკლებზე მეთადრე თუ მღვდლის წი-

ნაბილდე ვინმე რამე დაწერა შენც არ მო-

ნაბილდე ვინმე რამე დაწერა შენც არ მო-

ნაბილდე ვინმე რამე დაწერა შენც არ მო-

ნაბილდე ვინმე რამე დაწერა შენც არ მო-

მივდევ, იმის გარჩევაში არავინ შედიოდეს, მართალია სწორედ თუ ტყუილს ამას ვინდა სჩივის, თავი რომ გადაიტანო საბასუხო წერილს არავინ დაგიბეჭდავს. მართალი უნდა მოგახსენოთ, ამ ვარემოების სახეში მქონეს, მე არც ერთი რედაქციისათვის არ მიმიმართავს.

წარსული წლის „ეშმაკის მათრახის“ 8 №-ში ვილაკ წარანეულს მოუთავსებია ჩემს შესახებ სიკრუთა და ცილისწამებით აღსავსე კორრესპონდენცია. მართალი უნდა მოგახსენოთ, იმისთანა ეკუბატონებისაგან, როგორც წარანეული ბრძანდება, ძაგება ქებათ მიმანია, მაგრამ მაგარი ის გახლავთ, რომ მოიპოვებინ ისეთი გულუბრყვილო მკითხველები, რომლებიც ბეჭდითი სიტყვას ბრძით ერწმუნებთან და ამიტომ არის, რომ პასუხს ვცემ წყალ წალბებულს და ენა მრუმ წირიანეულს. მართლაც რომ ეშმაკის ძია და ბნელეთის მოციქული წარანეული ჩემდამი პირადი მტრობით გონება დაბნელებული ბევრსა სცდილა, რომ ჩემს წინააღმდეგ რაიმე ცუდი ეუწყებინა ქვეყნისათვის და რომ ვერასფერი მოუგონია, და საფენელი შემოაკლებია, ამდგარა და დაუწერია სხვათა შორის შემდეგი: „ბარეულიდგან“ „საყვარელი ძმაო ეშმაკო! ჩვენი მოძღვარი გაბრედი, თუ მალე არ ჩამოიარე, მანამდი ყველას დაგვაძრობს ტყავებს, შემოიჭერი ერთი თუ ძმა ხარ გაპკარი მათრახი და ჩასახე: რა დროს დრამა ფულია, ხალხს შიმშილით სული ხდებათქო და, იქნებ ეშველოს რამე შის თავდასულობას“...

ბ. წარანეულს ჩემს საწინააღმდეგოდ ამის მეტი ვერა უმოგვნია რა. ესლა ვნახოთ რამდენათ მართალია ეს მისი ნათქვამი. მართალია რამდენიმე დრამის ფული ავიღე, მაგრამ ვის, ან როდის, მივაყენე იძულება დრამის ფულუბისათვის? ჩემს მრევლში 49 კომლია დრამის გადამხლები.

1906 წლის დრამის ფულები დამ ნახევარი ვაბატეე და 1907 წლის — სრულად არც დღეს მიმიღია. ამას დაამოწმებენ ფულის მხოკავეები პარმენ ქაროზანიშვილი და ილია მღვდელიძე. ესეც რომ არ იყოს, რა მომაკვდინებელ ცოდვათ მიანია ბ. წარანეულს დრა-

მის ფულის აღება? მე მღვდელი ვარ და, თუ მრველისთვის საჭირო არის მღვდელი, მან კიდეც უნდა მომცეს საზრდო. რაქის მაზრაში 80 მღვდელზე მეტი არის და, თუ ბიჭი არის ბ. კორრესპონდენტი, იმათგან ერთს მღვდელს და მისახელებს, რომ მას დრამის ფულები არ აელოს. სიმართლის მოყვარება თუ ალაპარაკებდა დრამისათვის დაწიოკების ფაქტებს, ნამდვილს და არა მოგონილს, მართლა იმოგინდა. მაგრამ რას ვამბობ? წარანეული ჩემდამო პირადის მტრობით ცილობდა ქვეყნისთვის გულშემბატკივარობს, თორემ იმდენათ ეპიტნაგება მას ქვეყანა და მისი სიკეთე, რამდენადაც იმათ, რომლებიც ჩვენს საწყალს ხალხს სმარცვავენ და ჰკლავენ განუკითხავად.

ჩემზედ რომ გული უჯერებია წარანეულს, ჩემს შვილს ზოსიმესაც გადასწდომია, რომლის შესახებაც ბლინაძურათ დრიკინობს: „ხუცის სახლთან არ გაიარო, თორემ მისმა შეილმა ზოსიმემ შეიძლება თავისი „ПЯТНАРИДНАЯ ВИНТОВКА მოგაყოლოსო.“ ხედავ მკითხველო საით უშვრება პირს ამ სიტყვებს ბნელეთის ნაძირალო, წარანეული? ასეთი პროვოკაციით შარშან აგაზაკები დამასხა თავს თოფის გულისათვის და ეხლა, რასაკვირველია, სხვები უნდა, რომ დამასხას.

კარგა ხანია რაც წარანეული და მისნი დამქაშნი ჩემს შესახებ ავრცელებენ ხალხში სხვა და სხვა კორებს. ისინი მე შარშან სამედიცინორო სამართალში გამოვიწვიე, ვადაც თვითონ დანიშნეს, როდესაც მედიტორებს ჩვენი საქმე უნდა განეხილათ, მაგრამ დანიშნულ ვადაზე არც მედიტორები წარმოადგინეს, არც თვითონ მოვიდნენ, არამედ დაიმალონ. ამას თავის დროზე შექცვითი სიტყვითვე დავემტკიცებ. მიუხედავათ ამისა, ისევ ამდგარა ერთი მათგანი — წარანეული და ასეთ ცილისწამებას ავრცელებს ჩემსა და ჩემის შვილის შესახებ. რომ საზოგადოებამ ცხადად შეიტყოს, თუ რა პირადის მტრობით და შურის არის ჩემზედ აღტურვილი „წარანეული“ წინადადებას ვაძლევ, რომ მან ნილაბი აიხადოს და სამედიცინორო სამართალში გამოიყვეს და დამიმტკიცოს.


1) რომ მე ჩემს შრეულში ცუდათ ვიქცევი და ანგარი ვარ;

2) რომ ღრამის გულისათვის შრეული დავაწიოკე და

3) რომ მე ჩემი შეილი ზოსიმე სახლში მიზის და გამვლელსა და გამომვლელს ვინტოჯის ესვრის.

დღიღამ ამ წერილის დაბეჭდვისა ერთი თვის ვადის ვაძლეე საპასუხით. უკეთუ წარიანეული ვერ გამოიჩინეს მოქალაქობრივ გამბედაობას, რაშიც დარწმუნებული ვარ, ნიღაბს არ აიხდის და სამედიატორო სამართალში არ გამოყვება და ვერ დამიშტკიცებს ზემორე აღნიშნულ ბრალდებაებს, იმ შემთხვევაში მთელმა ქვეყანამ უნდა გაიგოს, რომ წარიანეულის წერილი საზიზღარა პროვოკაცია ყოფილა, შეთხზული პირადი ანგარიშების მიხედვით.

მლ. გაბრიელ ფოფხაძე



კვირიღამ კვირობაჲდე.

— მ. შორაშის ორკლასიან სასწავლებლის გამგის მღვდ. კ. დამბაშიძის თხოვნით ბ. შორაშის საბლადოზინო ოლქის სამრევლო სკოლების მზრუნველს პ. ს. ანდრეევს კაცი გამოუგზავნია სკოლის შენობის დასათვალიერებლად, რომ გაიგოს, თუ რა ეჭირვება ამ ეამად მას. ეს სკოლა თითქმის ბ. ანდრეევის აშენებულია; მან შესწირა ამ სკოლას 1600 მანეთი ფულად და სხვა და სხვა სასწავლო ნივთები. იმავე სკოლის ასაშენებლად მამაგამგის მეცადინობით ადგილობრივ სხვა და სხვა პირთაგან შეგროვილ იქმნა 800 მანეთი. ამ ნაირად სკოლის აშენებაზე არავითარი ძალმომრეობა და ძალდატანება არ ხმარებულა, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე საერო სკოლების დაარსების დროს. სკოლა დღეს კიდევ დაუმთავრებელია და იმედი უნდა ვიქონიოთ, ბ. ანდრეევი მიიღებს შრომას და დაამთავრებს

მას. როგორც ვხედავთ, საეკლესიო სკოლები სულ უმწეო არ არიან საზოგადოების მხრით და ჰყვანან თავის ქველმოქმედნი მომხრენი.

— იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დებუტატთა კრება ყოვლადსამღვდლო ეპისკოპოსმა გიორგიმ დანიშნა 4 ივნისისათვის. ამ ხნის განმავლობაში, სასურველია, სამღვდლოებამ გაითვალისწინოს გაზეთის საშუალებით თუ რა საგნებზე უნდა იქონიოს მსჯელობა ან რა გზას უნდა დადგეს, რომ მოაწყოს თავის აპუწული საქმეები. საკითხები ბევრია და მათ შორის პირველი ადგილი უნდა დაეთმოს სასწავლებლებს. გაზეთი სიამოვნებით მიიღებს და დაბეჭდავს ყოველგვარ სტატიას, რომელიც ასე თუ ისე ხელს შეუწყობს მომავალ კრების განსახილველ კითხვების შემუშავებას და სასურველად დაბოლოებას.

— სამიწათ მომქმედო დეპარტამენტმა აცნობა ქუთაისის გუბერნიის სამიწათ მომქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს, რომ ის აგზავნის ქუთაისის გუბერნიის უფროს სპეციალისტის მოადგილეს სილანტიევს, რომელიც დემონსტრაციულ ბაას გამართავს შესახებ იმისა, თუ რა ნაირათ უნდა ებრძოლონ სხვა და სხვა გვარ შეურნეობაში მავნებელ მატლებს, მწერებს, ხოქოებს.

— იმავე სამმართველოს უფროსის, ბ. პაკალინის, შვამდგომლობით სამმართველო მიიღებს სხვა და სხვა გვარ ხელოვნურ მიწის სასუქებს, რომელიც დაურიგდება ზოგიერთ გლეხებს და მემამულეებს. ასეთ სასუქებზედ ჩვენში ჯერ წარმოდგენაც არა აქვთ.

რედაქტორ-გამომცემელი მღვდელი სიმონ მჭედლიძე.